

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ
საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი#1

23 იანვარი 2023 წელი

ქ.ბაღდათი

14.30სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა:

ზაზა ზივზივაძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა
კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

დიომიდე კიკნაველიძე

შადიმან გორგოძე

მურად ბურჯანაძე

გიორგი კოტორეიშვილი

გია სახამბერიძე

კახა კოხობე

ა.ა.ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების
გაერთიანების“ დირექტორი: ამბერკი რობაქიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/პირველი მოადგილე: გურამი
კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი:
ნატო ნატრიაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: ქეთევან
კარკაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი:
გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დღის წესრიგი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს: ქეთევან კარკაძე

2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის N 26 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხს. თამთა ღვალაძე

მომხს. ნატო ნატრიაშვილი

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი 1 კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძემ განაცხადა, რომ მიწის ნორმატიული ფასი K კოეფიციენტი იყო 125 და მოიმატა 5 ერთეულით და გახდა 130

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივამემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ მიიღოს კომისიამ წარმოდგენილი სახით და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ მიიღოს კომისამ წარმოდგენილი სახით და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი 2 კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ზივზივამემ წარმოადგინა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის N 26 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი: ნატო ნატრიაშვილმა

კომისიის თავმჯდომარე: ზაზა ზივზივამემ კითხვით მიმართა ამბერკი რობაქიძეს, დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფი იგვე დარჩა რაც გვექონდა წინა წელს

ა.ა.ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორი: ამბერკი რობაქიძემ უპასუხა ზაზა ზივზივამეს, რომ დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფი იგივე დარჩა ფასი არ მომატებულა

